

4 (044)

9-523

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის  
ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

თამარ თვალაძე

საზოგადოებრივი მეცნიერებების  
მეთოდოლოგია ენობრივი ფაუნდამენტზე

13.00.02 - სწავლების მეთოდოლოგია

პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატის  
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად  
წარმოდგენილი დისერტაციის

აკტორეფერატი

თბილისი  
2005

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის უცხოური ენების სწავლების მეთოდის განყოფილებაში

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **მადონა მეგრელიშვილი,**  
ფილოლოგიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი

ოფიციალური ოპონენტები: **ნათელა დოლონაძე**  
პედაგოგიკის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი (13.00.02)

**თამარ ჯოჯუა**  
პედაგოგიკის მეცნიერებათა  
კანდიდატი, დოცენტი (13.00.02)

დისერტაციის დაცვა შედგება 2005 წლის 30 ივნისს 14 საათზე  
თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელ-  
მწიფო უნივერსიტეტის P10. 01 №1 სადისერტაციო საბჭოს სხდომა-  
ზე.

მისამართი: (0162) თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №45

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თბილისის ილია ჭავჭავაძის  
სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სამეცნიერო ბიბლიოთეკაში

ავტორეფერატი დაიგზავნა 26 მაისი 2005 წ.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,  
ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი,  
პროფესორი

*ლ. გვასალია*

/ლ. გვასალია/

## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

უცხოური ენის სწავლების მეთოდოლოგიაში საგაზეთო ტექ-  
სტის გამოყენება შედარებით გვიან შემოვიდა. 1960-იანი წლების  
ბოლოს – 1970-იანი წლების დასაწყისში როგორც დასავ-  
ლურ, ასევე საბჭოთა მეთოდოლოგიაში მუშავდება მასობრივი  
ინფორმაციის საშუალებების გამოყენების მეთოდოლოგია უცხოუ-  
რი ენის სწავლებისას: მიმდინარეობს თეორიული კვლევა და  
იქმნება როგორც ენის ზოგადი, მრავალსაბექტიანი სწავლების  
სახელმძღვანელოები, რომლებშიც დიდი ადგილი ეთმობა უურ-  
ნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ ტექსტებს, ასევე საგაზეთო  
ტექსტზე მუშაობისთვის სპეციალურად შექმნილი სახელმძღვა-  
ნელოები. აქამდე უცხოური ენის სწავლებისათვის გამოიყ-  
ნებოდა ხელოვნური (სახელმძღვანელოს ავტორის მიერ შექ-  
მნილი) სასწავლო ტექსტები, უმეტესწილად “მშრალი” და  
ნაკლებად საინტერესო, და მხატვრული ტექსტები – ადაპტი-  
რებული და ორიგინალური, შემსწავლელთა ენობრივი მომ-  
ზადების დონის გათვალისწინებით. მხატვრული ტექსტები,  
ეჭვგარეშე, უფრო საინტერესო, ენობრივად მდიდარი, სანი-  
მუშო და, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია, ავთენტიკური  
იყო, მაგრამ კლასიკური ლიტერატურის გამოყენება ნიშნავ-  
და ისეთი ენის გამოყენებას, რომელიც (უკეთეს შემთხვევაში)  
რამდენიმე ათწლეულის წინ გამოიყენებოდა. ახალი ტიპის  
ტექსტის შემოტანამ თანამედროვეობა შემოიტანა აუდიტო-  
რიაში. საგაზეთო ტექსტის კითხვის უნარ-ჩვევების ფორმი-  
რებამ საშუალება მისცა მის მკითხველს უწყვეტად (life-long  
education) გაეგრძელებინა როგორც ენობრივი უნარ-ჩვევების  
სრულყოფა, ასევე ცხოვრების სხვადასხვა სფეროდან ახალი

1992-

